

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
რაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე  
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე  
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дрoвѣ“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50გ. 10 თვით—  
8 მ.; 9 თვ.—7 მ., 50გ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.  
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50გ. 4 თვ.—4 მ., 3  
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნაძიკი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ - დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე  
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უცხარეხი გვერდი  
ღირს 25 მანათი; პირველი 50 მ. რედაქციის  
ნებისა ითვლება მათგან დაქვრივების ადგილის კვა-  
ლობაზე.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გააწვინებს და შეაიკ  
ლებს დასაბუჯად გამოცხადებულ წერილებს. დაუბუჯად წერ  
ლებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россiи, Царства Польскаго и за-  
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.  
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

## ვისაც დღემდე არ შემოუტანია ხვედრი ფასი ვა- ხეთისა, რედაქცია სთხოვს დაჩქარონ ფულის ვა- მოგზავენა.

(5-1)

### თბილისის გუბარნიის კათილზო- ბილი წინამძღოლი

უპირატესად სთხოვს თბილისის გუ-  
ბარნიის თავად-სახურთ, რათა მოხდეს  
ამა აპრილის 21-ს ვიზის, დილის 11  
საათზედ არა ჩვეულებრივ საგუბარნიო  
თავად-სახურთა კრებაზე, რომელიც მოხ-  
დება წინამძღოლის სადგურში, მისი აღ-  
ვის ქუჩის № 28-ს, იმპერატრიცა  
ქატერინეს II-ისაგან ბოძებული გრა-  
მოტის წასავითხვად. შემდეგ სიძის  
საკათედრო საბაროში თავად-სახურთა  
დაქვრივება ნეტარ განსჯისთვის იმ-  
პერატრიცა კატერინეს მეორის ბრძანებ-  
ზე და აგრეთვე ხარკის სედე დაქვრივ-  
ლობისათვის ხელმწიფე იმპერატორის  
პლექსანდრე პლექსანდრეს ძისა, იმპე-  
რატრიცისა და სრულიად სახლობისა  
მათისა.

(3-1)

### წერილი პოლიტიკაზე

თბილისი, აპრილის 19-ს.

დღეს სწორედ ერთი თვე შესრულ-  
და მას შემდეგ, რაც ავღანელებთან  
შეტაკება მოხდა. თუ მოვიგონებთ  
იმ ვითარებას, რომელზედაც დამყა-  
რებულია ინელისელების მდგომარეო-  
ბა აზიაში, უცვლელია, ამ ამბის შემ-  
დეგ ყველა იმას იფიქრებდა, რომ  
დღეს თუ ხვალ ომი გამოცხადდებო-  
და ინგლისს საზოგადოდ არა ჩვეულებ-  
რივად მგონობიერია ყოველ იმ საგ-  
ნის შესახებ, რომელიც იმისი კეთილ-  
დღეობის შემავერებელია, ან მისი  
თავმოყვარეობის დამამცირებელი. მარ-  
თალია, სიამაყე და ნაციონალური  
თავმოყვარეობა არც ერთს ვერო-  
პიულს სახელმწიფოს არ აკლია, მაგ-  
რამ ინგლისმა და ინგლისელებმა ამ  
შემთხვევაში სხვებს გადააპარბეს. ლი-  
უდოვიკოს მეთოთხმეტის დროს ინგ-  
ლისს არ დაუშურავს არავითარი ღო-  
რისიძიება, არც ფულით და არც კა-  
ციტ, რომ მსპანიის შემკვიდრების  
ომში გამარჯვებული გამოსულიყო. თუმცა  
საფრანგეთმა თავის წადილი  
შეისრულა და ბურბონების სახლობა  
გამეფა მსპანიის ტახტზე, მაგრამ ინგ-  
ლისმა მაინც თავისი აიღო: დაიპყრო  
ისეთი ადგილი მეროპიაში, რომელიც  
მთელი მეროპიის გასაღებად ითვლე-  
ბოდა სუეზის არხის გაყვანამდე; მიბ-  
რალტარი შეადგენდა ისეთ ალაგს,  
რომლის დახურვით დაიხურებოდა

მრთელს შუა ხმელთა ზღვაში კო-  
მერციული და სამხედრო მოძრაობა  
და მოქმედება, — და ეს ადგილი და-  
იპყრო ინგლისმა.

როცა ნაპოლონ პირველმა მთე-  
ლი მეროპია შესძრა, დაასუსტა და  
დაამცირა თითქმის ყველა სახელმწი-  
ფონი; როცა ბონაპარტე თოთხმეტი  
წლის განმავლობაში სრული მბრძ-  
ნებელი იყო; — ინგლისი სისტემატიუ-  
რად მტრობდა მას, ქედს არ უდრე-  
და, არც ერთს საგანში არ უთმობდა  
და იქამდის მიიყვანა ეს მსოფლიო  
გენიოსი, რომ ერთს უბრალო ხო-  
მალზე დატუსაღებული გამგზავრა  
წმ. მღენეს კუნძულზე, სადაც ბონა-  
პარტემ დალია თავისი დღენი.

ამ ორის სამის საუკუნის ისტორია  
(თუ ამერიკის შეტაკების ომს არ მი-  
ვიღებთ მხედველობაში) აშკარად გვი-  
მტკიცებს, რომ ინგლისი არც ხარჯს,  
არც სხვა რამ მსხვერპლს არ დაზოგავს,  
თუკი მოითხოვს მისი სარგებლობა ან  
თავმოყვარეობა.

ინგლისის სუსტი ადგილი ინდოე-  
თია. როცა ამ ერთის თვის წინად  
პელანში შეტაკება მოხდა, ვიმეორებთ,  
ყველა იმას ჰფიქრობდა, რომ რამო-  
დენიმე დღის განმავლობაში ომი გა-  
მოცხადდებოდა. მაგრამ საქმე ჯერ შე-  
ჩერდა...

ზღაღსტონს ბევრი მტერი ჰყავს და  
ადგილი მოსალოდნელი იყო, რომ ყო-  
ველი საგნის შესახებ იმას მოწინააღმდე-  
გენი ამოუჩნდებოდნენ. მაგრამ როცა  
იმან სთხოვა საზოგადოებთა პალატას,  
რომ თითქმის ას ათი მილიონი მა-  
ნათია საჭირო და უნდა მოგვეცეთ,  
ერთი კაციც არ აღმოჩენილა, რომ  
მელსაც საწინააღმდეგო რამ ეთქვა;  
კენჭიც არ უყრიათ ისე დასთანხმე-  
ბიან მთელი ინგლისის ერის წარმო-  
მადგენელნი.

მს ამბავი ფრიად საყურადღე-  
ბოა. იგი ამტკიცებს, რომ ინგ-  
ლისი თავის თავს შეურაცხყოფი-  
ლად სთვლის და ცდილობს დაკმა-  
ყოფილება მიიღოს. თუ ასე გაჭი-  
ნურდა ომის გამოცხადება, ეს იმი-  
ტომ რომ აწინდელი დროის პოლი-  
ტიკა და მდგომარეობა სულ სხვა  
მომზადებას, სულ სხვა თავდარიგს  
ითხოვს, ვიდრე ლიუდოვიკოსი ან ნა-  
პოლეონის დროს. სახელმწიფოთა მო-  
რის ისეთი რთული ურთიერთობაა  
დამყარებული, რომ ათჯერ უნდა

გაიზომოს საქმე და მეტერთმეტეჯერ  
მოიჭრას. ბუშინდელი დღეზე ვაუ-  
წყებს რომ ინგლისს საქმე ათჯერ კი-  
დეც გაუზომავს.

### შინაური ქრონიკა

ამ დღეებში ახალციხის კლუბ-  
ში გაუმართავთ წარმოდგენა „წერა-  
პითხვის საზოგადოების“ სასარგებ-  
ლოდ. წარმოდგენილამ ხარჯს გარედ  
დარჩენილა ას-სამოცი მანათი და 90  
კაპ. მს ფული მოუყიდა კიდეც „წე-  
რა-პითხვის საზოგადოებას.“

ამ საზოგადოების გამგეობა გული-  
თადს მადლობას უცხადებს როგორც  
წარმოდგენაში მონაწილეობის მიმ-  
ღებთ და ყველას, ვინც კი ამ კეთი-  
ლი საქმისათვის ფულის მოგროვებას  
დაეხმარა, აგრეთვე ახალციხის კლუ-  
ბის უფროსებს, რომელთაც უფასოდ  
დაუთმეს დარბაზი და სცენა წარმო-  
დგენის მოთავეთ.

სოხუმში ამ გაზაფხულზე ბევრს  
შესანიშნავ სტუმრებს მიეღიან თურ-  
მე. წარსულს სამშაბათს უნდა მისუ-  
ლიყო იქ გამოჩენილი ქიმიკოსი და  
სპირიტი პროფესორი ბუტლეროვი.  
მაღე აპირობს მისვლას აგრეთვე მე-  
ორე სპირიტი და გამოჩენილი ზოო-  
ლოგოსი პეტერბურგის უნივერსიტე-  
ტისა მადნერი. მოელიან ზოოლო-  
გოსს ოდესის უნივერსიტეტისას პლ.  
პოვალევესკის. მსენი ყველანი, რასა-  
კვირველია, სამეცნიერო განზრახვით  
მოდიან.

სოხუმში დამე იწერებიან, რომ  
ექვსს ვერსხედ ამ ქალაქიდან არის ჩაღ-  
ბას მდინარეზედ ერთი ძველი ჩინე-  
ბულის ხელოვნების ქვის ხიდი, რო-  
მელსაც აფხაზები „მენციულს ხიდს“  
ეძახიან. ხიდი დიდის ხნისა უნდა იყოს:  
არაინ არ იცის ვინ გააკეთა. რო-  
გორცა სჩანს, დიდი შენობა ყოფი-  
ლა; მაგრამ ახლა იმ მდგომარეობა-  
შია, რომ კაცს შეაზარებს მასზედ გაე-  
ლა, თუმცა მაგრად კია.

არ იქნება ურიგო, რომ იმ სოფ-  
ლის ხალხმა, მიაქციოს ყურადღება ამ  
ძველ სამაგალითოდ გაკეთებულს ხიდს  
და მანამ ჩაიქცივოდეს, შეაკეთონ,  
რომ ურმებსაც შეეძლოთ სიარული.  
ჩაღბას მდინარემ უცნაური მოდიდე-  
ბა იცის ხოლმე და რადგან სხვა ხი-  
დი არ არის მასზედ, ამას მაინც მიაქ-  
ციონ ყურადღება.

რუსულ გაზეთებში დაბეჭდი-  
ლია შემდეგი ტელეგრამა თბილისი-  
დამ გაგზავნილი: „პარზუმში დამ იწე-

რებიან, რომ იქ ჩასულან მუხთარ და  
დერიმ ფაშები.“

აპრილის 14-ს, კვირას, სოფ.  
წინამძღვრანთ კარში ადგილობრივს სა-  
მეურნეო სასწავლებელთან გაუხსნათ სა-  
ზაინგლო და სამკედლო სასკოლსი.

აპრილის პირველ რიცხვებში მო-  
მსდარს სამი შემთხვევა დიფტერიტით ავად-  
მყოფობისა თბილისში; სენს ერთი ემაწ-  
ვილი უმსკერპლია და ორი კი მოჩენილა.  
მკურნალებს დროზედ მიუღიათ კერფა-  
ნი დონისძიება სსენებული სენის გავრ-  
ცელების წინააღმდეგ და ეს ავადმყოფო-  
ბა მას შემდეგ შემცირდა ცოტადო. („გუ-  
კაზი“)

გაზ. ნორ-დარის“ კორესპონდენ-  
ტი იწერება, რომ ტრანსიტიის მოსპო-  
ბის შემდეგ სპარსეთში რუსის საქონლის  
ფასი მეტად დაეცა. რუსის საქონლის  
თვით უმცირესი ნაწილი გაისყიდა მსო-  
ლოდ რუსეთში, და რაც შეეხება სხვა  
ავადმყოფს, იქ ჩვენს საქონელს ფასი არა  
აქვს, რადგანაც მუშირზე და ბადდაზე  
შემოტანილი ევროპული საქონელი უფ-  
რო იათადაც ისე იდებს და რუსებისაზედ  
უკეთესი ღირსებისა აჩინო. კორესპონ-  
დენტის აზრით, რუსის საქონლის ფასს  
სპარსეთში უარესი ბედი მოეწიეს, თუ  
ავადმყოფმა მმართველობამ ევროპულს  
საქონელს დიდი იქარა არ დაადგა.

სვალ, აპრილის 20-ს, ნაშე-  
დდების 7 საათზედ, გაგვასიის სამეუ-  
რნეო საზოგადოების სადგურში დანი-  
შნულია საფილექსერო საზოგადოების  
სსდამა.

### გაზაფხული პროპინციაში.

სწორედ მართლა სთქვა თავის მოგ-  
ზაურობის დროს ძახეთში ერთმა  
უცხოელმა, რომ ძახეთი ისეა სავსე  
მრავალ-გვარი მშენიერი სურათე-  
ბით, — რომ კაცის თვალს ვერ შეუ-  
ძლიან დასტყვის მათი ცქერითაო.  
მართლაც ძახეთი მდემის მგზავსებას  
წარმოადგენს გაზაფხულობით. შუა  
ველზედ ლურჯად მოზიბინე მღ. ალა-  
ზანი, გამოღმა მშენიერად შემუშა-  
ვებული ვენახები სხვა-და-სხვა ფრად  
აყვავებული ხეხილით, ვენახების ბო-  
ლოს მწვანედ მღელავი ახალი ჯე-  
ჯილი და ვაღმა მხრის ახლად შე-  
ფოთლილი ახოვანი ტყე... სწორედ  
რომ თვალნი ვერ გაძლება ამ მშენიე-  
რებით...

მსეთი ბუნების სიმშენიერე კახე-  
ლებს ამხარულებს და ერთგულ  
მუშაობისათვის აქვებს მინდორ-ვე-  
ნახებში გაზაფხულობით.

სწორედ სასიამოვნო სანახევია, თუ რა ერთგულობით და მხიარული სიმღერით ებრძვიან „შავ-მწიფას კან-ლები. მისი ერთგული „ყორანა“ — „შოთიათი“ გუთნის-დედა მინდვრებს ახმინებს. მთელი გაზაფხული მუშაობაში მიმდინარეობს სოფლებში და იმასაც მიეხედვით ახლა, თუ რა გვა-რად მიმდინარეობს გაზაფხული პრო-ვინციალურ ქალაქებში.

\*\*\*

სოციალიზმი თუ არა, ჩვენი ქალაქის მცხოვრებნი თითქმის ყოველ შემთხვევაში უფრო მეტად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, ვიდრე სხვა ქალაქებში. ეს იმის გამოა, რომ სოციალიზმი უკარგავს; მოლოდინებს რა-ღაც სიხარულსა და სიამოვნებასა ჰყვანს სახეზედ.

მუხლებ-დაბრუნებულნი და დაბრუნ-ებულნი ჩვენი ქალაქელები, — სულის სისწრაფით მიემზადებიან ყოველ-დილა-სალამოს ქალაქ-გარედ მინდვრებისაკენ.

საქმის დღეს უბრალო სიარულ-ში ატარებენ გარედ მინდვრებზე. უქმე და კვირაობით-კი პატარ-პატარა ქალაქის ბაღები და მწვანე მყუდრო ადგილები აქრელდებიან ხოლმე და-ლოცვილის ლურჯის სურვილით. უცხო ენებში რომ შემოვიდეს ქალაქში უქ-მე დღეს, უეჭველად იფიქრებს დღეს ადგილობრივი დღეობა არის აქაო. ლურჯ სურვილსთან გაგახსენდებათ ეს ლექსი:

„განკურნე ღვიძლით ადვილით  
ახალგაზრდას სეფში გაქმუნა,  
მოთაფა, თეკა, მწვანეა  
აგვიტყულებს წინ სურვილს“

ჰველა ამას დაუმტყუნებელი ტკილი ღუღუღი... და წარმოგიდგებათ სურა-თი, თუ როგორ ატარებს ჩვენი ქალაქის ახალ-გაზრდა ყოველ გა-ზაფხულის უქმეებს; მოხუცნი-კი და-ლოცვილ „კლუბებში“ ბანქას შე-საფერ ხარკს აძლევენ.

\*\*\*

ახლა ისიც მოხსენიებთ, თუ რას ჩადიან ქალაქები? ჯორები და ლოტო, რომელ-საც ახალ-მოღურად „მფხი-ლოტოს“ ეძახიან, — აი, დროს გატარება ჩვენი მშვენიერის სქესისა...

სწორედ გასაოცარია, თუ რა სუ-ლის სისწრაფით და მხიარულებით მიესწრაფებიან გუნდ-გუნდად ჩვენი ქალაქი საღამ-სალამობით იმ დარბა-ზისაკენ, რომელიც ყველაზე ადრე ჩაღდება სანთლებით და დოლ-სალა-მურით...

სალამო იწყობა ერთმანეთის მო-კითხვით და უმნიშვნელო კითხვა-პა-სუხით. რაკი ყველა მოწვეულნი მოი-კრიფებიან, დაიწყება „ლოტო“... მამამობის დროს ხშირად შფოთი და არა-საკადრისი ლაპარაკი მოხდე-ბა ხოლმე, მაგრამ ეს „ლოტოს“ აუცილებელ კუთვნილებად ითვლე-ბა ჩვენს პროვინციაში...

„ლოტოს“ თამაშობა თავდება. მალე დადგება გუნდ-გუნდად სხვა-

და-სხვა კუთხეში გროვდებიან და შეუდგებიან მეორე თავიანთ საყე-რელ საგანს — ჯორს...

მაგრამ ცალკე მათის გაწყობისა გვეშინიან, ცალკე მკითხველებისა და ამიტომ აქ ვათავებთ ჩვენს საუბარს...

ი. გახელი.

### დავა შუა აზიში

◆◆ „მოსალოდნელის ომით რუს-ინგლისის შუა, როგორც საზოგადოდ ყოველის ომით ორს დიდს სახელმ-წიფოს შუა, ისარგებლებენ განზედ გამ-დგარნი სახელმწიფოები, რა შეხედვენ გაქირებულს მდგომარეობას მეტრ-ძოლთ სახელმწიფოებისას. ეს უნდა ვიქნათ ჩვენ სახეში. როდესაც მარტხნით ბოძოლას ვაგებთ — დაიმედებულნი უნდა ვიყუდეთ, — რომ მარჯვნივ არავენ შემოგვესევა.“ — ამ სიტყვებით იწყებს თავის მოწინავე წე-რილს „Новости“.

„ბერლინიდან ჩვენ განუწყვეტლივ გვეხმის, და უმეტესად ამ უკანასკნელ ხანებში, რწმუნება ნემეცების ჩვენდამი მეგობრულს განწყობილებას. ამ გვა-რი რწმუნებანი ჩვენ სასიამოვნოდ გერჩება, მაგრამ დამწიფებთ-კი ვერ ვამწიფებენ, — რადგან პოლიტიკაში მეგობრობას ერთობ მცირე მნიშენ-ლობა უჭირავს. ამასთან თვით თ-დმა ბისმარკმა გვასწავლა ჩვენ, რომ ბერ-მანიის კარგ მეგობრად მხოლოდ ის ჩაითვლება, ვინც ხელს-შეუწყობს მისს საკუთარს ინტერესებს.“ — შემდეგ ვაზეთს მოჰყავს მიზეზი იმისი, თუ რად ჰქადაგებენ ამ უკანასკნელს დროს ნემეცური ვაზეთები რუსებისადმი მე-გობრულს განწყობილობასა.

ერთ უძლიერესს მეტოქედ ბერმა-ნიისა კოლონიალურს პოლიტიკაში ინგლისია. როგორც კი რუს-ინგლისის შორის დადამ იჩინა თავი, ბერმანიამ მაშინვე მოსპო ყოველივე უთანხმოე-ბა კოლონიალურის პოლიტიკის გამო ამტყდარი ლონდონისა და ბერლინის შორის. ამით ინგლისს ბერმანიამ აამორა თავიდან ეს მცირე დავი-და-რება და უფრო დიდში ვახვია, მიუ-თითა უფრო დიდს საქმეზედ, რომე-ლიც, უეჭველია, შესამჩნევად შეა-სუსტებს ბრიტანიის მმართველობას. და თ-დის ბისმარკის გულითადი წა-დილიც ეს არის. კოლონიალურს პოლიტიკაში ძლიერი მეტოქე აღარ ეყოლება მას. ბარდა ამისა ბერმანიას სხვა სარგებლობაც აქვს მხედველობა-ში.

ამ გვარად რუს-ინგლისის ომი დიდს სარგებლობას უქადის ბერ-მანიას როგორც პოლიტიკურისა, აგრეთვე ეკონომიურის მხრით, რა-დგან მეტრძოლ სახელმწიფოთა ვაქ-რული წარმოება მოისპობა და ბერ-მანიისა შესამჩნევად გაძლიერდება ამ დროს. როდესაც ნემეცები გვარწმუ-ნებენო, განაგრძობს ვაზეთი, რომ ღარდნელს დაუეკუტო ინგლისის ხო-მალდებსაო — აქ ჩვენ სამსახურის გა-

წევას კი არ უნდა ვხედავდეთ გერმა-ნიის მხრით, არამედ ნამდვილს ანგა-რიშაო... ასტყდება თუ არა ომი — არც აესტრია დაჰკარგავსო ესეთს მარ-ჯვე დროს და გამეფდება ბალკანზე. აი, ამ მხრით შეუძლიან ბერმანიის, თუ კი სურვილი აქვს, გაგვიწიოს დიდი სამსახურიო. ნუ მისცემს აე-სტრიას ბალკანის დაპყრობის ნებას. ნუ დაარღვევინებს ამით ბერლინის ტრაქტატს. აი, ესეთს მეგობრობას ვსა-ჭიროებთ ჩვენო, მაგრამ სამწუხაროდ, საეჭვოა, რომ ბერლინიში მოინდო-მონ ამ სურვილის აღსრულებაო. ბერ-მანიასაც (ბისმარკს) ის უნდა, რომ აესტრია წასწიოს აღმოსავლეთისაკენ. ბოლოს „Новости“ შემდეგის სიტყ-ვებით ათავებს თავის წერილს: „ჭერა-თისა და სტამბოლის შუა, ეტყობა, მქი-დრო კავშირია. მისურვით — იმ დრომ-დე დაგვეთავებინოს ჰერათის საქმე, სანამ სტამბოლის მრისხანე საქმის გადა-წყვეტას შევეუდგებოდეთ.“

◆◆ „მოსკოვის უწყებათ“ არა ჰსურს ომი. ეს ვაზეთი იმ თავიანთივე ჰქადაგებს, რომ დრო არა აქვს რუსეთს ომისა. „რა ღირსეული იქნებოდა ორთავე მხარესათვის, რამდენად ნაყოფიერი იქ-მნებოდა ორთავე მოდავეთ ინტერე-სებისათვის, რომ ეხლანდელს დავას განხეთქილება კი არა, მორიგება მოჰ-ყოლოდა, ომი კი არა, — რომლის შედეგს ვერვინ იწინასწარმეტყველებს, საკეთილო, მკვიდრი მშვიდობიანობა დამუარულდეს... რამდენად ძლიერი სარგებლობა მოჰყვებოდა ეხლანდელს მორიგებას საკლავიო! ეს იქნებო-და დასაწყისი ახალის საუკეთესო პო-ლიტიკისა ორ ძლიერ სახელმწიფო-თა შორის; პოლიტიკისა, რომელიც თავისუფალი იქნებოდა ყოველის და-მასუსტებელის, უსაფუძელო და ცრუ წინააღმდეგობისა, კიშობისა. ეს სა-უკეთესო, ჭეშმარიტი სამსახურის გა-წვევად ჩათვლებოდათ მმართველობა-თა ისტორიის წინაშე და უაღრეს გამარჯვებად — ვიდრე ომით გა-მარჯვება ერთის ან მეორისა. ჩვენ გვგონია, რომ რუსეთისა და ინგლი-სის შორის შესაძლო იყო ორთავე ქვეყნისათვის სასარგებლო მორიგების ჩამოგდება. ამ გვარი მორიგება ია-რალზე უკედ დაიკავება მათ-შუა არ-სებულს ინტერესებს. მაგრამ სანამ ესეთი მორიგება მოხდებოდეს, მანამ არა ღირს ხმლის პრიალით ერთმან-ეთს აშინებდენ“.

◆◆ National Zeitung-ს დებე-შით აცნობებენ ლონდონიდან შინა-არსს რუსის გარეშე საქმეთა მინისტ-რის ბირსის პასუხისას. რუსის მინისტ-რი იწერებაო, რომ გენ. კომაროვის ტელეგრაჰმა საკმაოდ აღწერს პენჯდეს-თან შეტაკების ამბავს და დაწვრილე-ბით განმარტება კიდე ამ საქმისა რუ-სის მმართველობისაგან მეტი იქმნე-ბოდაო. შემდეგ ბირსი უჩივის საო-მარს ხასიათს და გენ. ლემსდენის კანჯოის სიმრავლეს და აგრეთვე მტრულს მოქმედებას ინდოეთის ვიცე-

კოროლისას. ჰველა ეს გარემოება ფრიად აქვებდა ავტანსტებსაო...

◆◆ ბელგიურს ვაზეთში იწერებიან პეტერბურგიდან, რომ იქ ყოველს წამში მოელიან ამბავს, რომ რუსები ცუზიმის კუნძულებს დაიჭერენო. ეს პასუხი იქმნება ინგლისელებისაგან პუნძულის-ჰამილტონის დაჭერისათვის. ჰტიქრობენ, რომ ინგლისი წინააღუდ-გება ესეთს განზრახვას რუსებისას და ამ საქმეში დახმარებას გაუწევს ჩინეთი-ცაო. ამ შემთხვევაში რუსეთი დაუ-ყოვნებლივ ააჯანყებს ქაშვარის მიდა-მოს მცხოვრებთ, რომელნიც ამისთ-ვის კარგა ხანია შხად არიან.

◆◆ „Times“-ს სწერენ ძალკუტი-ღამ: „თუმცა ამ ბოლოს დროს უფ-რო მშვიდობიანურს კილოზე შეი-ცვალა რუს-ინგლისის შუა მოლაპარა-კება, მაგრამ საომრად მზადება მინც ვაცხარებით მიდის. მართალია, რა-ეულ-პინდში გამოსტევა შიშია, რომ რუსის თავ-დასხმას ბრიტანიის ჯარის დაუხმარებლადაც გაუწევს წინააღმ-დეგობას და ამიტომაც ინგლისელი მაიორი ნიკოლსონი და სხვა ინჟინე-რი — აფიცრებიც, რომელნიც ვაგზა-ნილი იყვნენ ჰერათში სიმარგეთა ასა-გებად, უკანვე იქმნენ გამომზობილინი, — მაგრამ ინდოეთის მმართველობა ყურს არ უგდებს ასეთს განცხადებას, არ უნდა დასტოვოს შეიარაღება. რაეულ-პინდში რომ ჯარი იყო, დღეს თავ-თავიანთ ადგილებზედ არიან დაბანა-კებულნი და ნაბრძანები აქეთ პირველ-სავე გამომზობაზე მზად იყენენ გასა-ლაშქრებლად. სამინისტროს მოქმე-დებას დიდს ყურადღებით ადევნებენ თვალს და შიშობენ, რომ თუ რუსებს პენჯდე დაეთმო დიპლომატიურად გა-მარჯვებაც იმათს მხარარზე იქნება. ჰვე-ლა ამბობს, რომ პენჯდეს ხელში ჩაგ-დებით და ამ ადგილის დაჭერით რუსეთს ხელთ ექმნება ერთი საუკე-თესო სტრატეგიული პუნჯტი. ამ დღეებში ლორდ ლეფერინს წინაშე წარსდგენ ინდოეთის ასოციაციის დეპუ-ტაციები, რომელთაც განუტყადეს ვი-ცე-კოროლს ერთგულება ბრიტანიის მმართველობისადმი. „ჭერ-ჯერობით თქვენი დახმარება მეტი იქმნებაო, — უთქვამს ვიცე-კოროლს დეპუტაციები-სათვის. — იმპერიის სამხედრო ძალის რიცხვი იმდენია, რომ იგი კმარა და-იკვას ხელ-უხლებლობა ტერიტორი-სა, მით უფრო, რომ მისს უძლვე-ლობას მოწმობს საუცხოველ და რაზ-მულობა და დისციპლინა და ამამალ-ლებელი გრძობა მამულის სიყვარუ-ლისა.“

◆◆ მენის ოფიციალური ვაზეთის სიტყვით, ყველა ინგლისის სავაჭრო გემებმა, რომელნიც მდ. ლენის ნავთ-სადგურებში იდგნენ, მიიღესო ვიცე-ხელი ბრძანება დაუყოვნებლივ დას-ტოვონ შავი ზღვა. ეს ბრძანება რაკი სისრულეში იქმნა მოყვანილი, იმავ დღეს ინგლისში გასავაჯენ საქონელ-ზე გადატანის ფასმა 50% აიწიაო.

◆◆ ლორდ ჰარტინგტონს შემდეგი ანგარიში წარუდგენია ბრიტანიის პარ-

ლაშქრობისათვის ინგლისის მხედრობაზე ინდოეთში და საშუალო-აზიაში: ინგლისელი ჯარები საკუთრივ ინდოეთში სულ 61,597 მემარსაგან შესდგებიან; ამ რიცხვიდან: 9 ცენოსანი პოლიკა, 93 არტილერიის ბატარეა, 90 ქვევითი ბატალიონი და 10 საპიორების ბატალიონი. ინდოელების არმია - კი 120,882 კაცამდე და აქედან 37 ცენოსანი პოლიკა, 9 არტილერიის ბატარეა, 125 ქვევითი ბატალიონი და 3 საპიორების ბატალიონი. მეროპიული არმია დაბანაკებულია შუაგულს ინდოეთში, და აქედან საზღვრების მოშორებით ზღვის კიდევზედ. მასულს თებერვალში ლორდმა ლეფერინმა შეპყრობა ორი არმიის კორპუსი (თვითთული მათგანი შესდგება 25,000 კაცისაგან) და მშველი ჯარი 10,000 მემარსი. ბენგალი სტიუარტი, პირველის ამ კორპუსთაგანის სარდალი, ამ ჟამად იმყოფება თავის ჯარით ბოლანდში, ჰერათზედ 300 მილის მოშორებით; მეორე კორპუსის სარდალი, გენერალი რობერტსი-კი დაბანაკებულია ინდოეთის ტერიტორიაზე, რაფულ-პინდში, ძაბულიდან 200 მილის მანძილზედ. მუდმივი მისვლამოსვლა რობერტსისა და სტიუარტის არმიებ შუა მეთად საქმელა; მშველი ჯარის, 10,000 კაცის, სარდალად ძანაუტის ჰერცოგია, რომელიც ამ ჟამად იმყოფება შოლტანში, მდ. ინდის ერთს უმთავრეს ტოტაგანზედ, აქედან საზღვრიდან (სამხრეთით) 40 მილის მოშორებით. აქედან გლეხის არმიას შემდეგი ადგილები უჭირავსთ: ძაბული და შანდაარის შუა, შანშიში, და ჰელათი-ჰუზლიარში სდგას 12,000 ქვევითი ჯარი, 30,000 ცენოსანი და 64 ზარბაზანი; ჰერათისა და ბალა-მურლაბის შუა—დაბანაკებულია 70,000 ქვევითი ჯარი და 2,000 ცენოსანი 38 ზარბაზნით, და ბალა-მურლაბისა და ბალკის შუა, თურქისტანის საზღვრებზედ სდგას 11,000 ქვევითი ჯარი და 3,000 ცენოსანი 28 ზარბაზნით.

წერილი რედაქტორთან


ბატონო რედაქტორო!

„მწყემსის“ მე 6 №-ში წაეკითხე მოწინავე წერილი სათაურით: „საერო წოდების ჟურნალ-გაზეთის მსჯელობა და აზრი სამღვდლოებაზე და მათ საქმეზედ“. თუმცა ამ თავის ქმნილებას „მწყემსი“ აფუძნებს „ღროების“ ორი წერილიდან ამოღებულ ციტატებზედ, მაგრამ რადგანაც პირველი ციტატი მხოლოდ წერილის გასაღებლად არის ჩართული და ყოველი უგვანობა, უსაფუძვლობა აზრებისა, მიღება-მოღება და სხვა კილი ეწოდება „ღროებას“ „მწყემსის“ მიერ ჩემი წერილის გამო, რომელიც იყო დაბეჭდილი „ღროების“ 43 №-ში, ამისასთვის გთხოვთ ნება მომცეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მოვახ-

სენო „მწყემსს“ მთელ თავის წერილზედ პასუხი. შემდეგ რომელიღაც დროებაზედ და ხანებზედ ლაპარაკისა წერილის შესავალში პატივ-ცემელი მამა რედაქტორი „მწყემსისა“ იძლევა ამისთანა კითხვებს: „რომელ წოდებას მიუძღვის იმდენი ღვაწლი საზოგადოდ ხალხის ცხოვრების ისტორიაში, რამდენიც სასულიერო წოდებას? მინ იყო ხალხის აღმზრდელი, კეთილ-ზნობის და სარწმუნოების სწავლის გამავრცელებელი ხალხში, თუ არა ძრისტეს სწავლის მოძღვარი? მინ ამხნევებდა ხალხს სხვა-და-სხვა ბარბაროსთა მტერთა წინააღმდეგ საბრძოლველად, თუ არა ძრისტეს სწავლის მოძღვარი? მისაც ეს წარსული დრო ახსოვს, ვისაც კარგად გაუგია და გამოუკვლევია ამ წოდების მოქმედება ძველ დროში და ეხლაც, ის, რასაკვირველია, სულ სხვა აზრით შეხედავს მათ და ყოველთვის კრძალვით მოიგონებს ამ წოდებას.“ რასაც ბრძანებს მამა რედაქტორი, ყოველივე ჰემარიტება და ყოველივე ესე შეგნებული გვექონდა და გვაქვს კიდევ, „მწყემსის“ რედაქტორმაც რომ არ დაგვარიგოს; კრძალვითა და მოწინავეთი ვისხენიებთ სამღვდლოებას, მხოლოდ აწინდელს კი არა, რაზედაც ვალდებულად გვხდის მამა რედაქტორი, არამედ უწინდელ სამღვდლოებას, რომელსაც მართლა რომ დიდი ღვაწლი მიუძღვის ხალხის წინაშე. იმ უწინდელს სამღვდლოებას, რომელზედაც მამა „მწყემსის“ რედაქტორი მოგვითხრობს, ვადარებთ აწინდელ სამღვდლოებას და ვხედავთ, რომ რაც უწინ ყოფილა სამღვდლოთ წოდება, ის დღეს აღარ არის და ეს განსხვავება, ანუ გზიდვან გადახვევა სამღვდლოების მიერ იწვევს იმისთანა წერილებს, რომელნიც იბეჭდებიან „ღროებაში“ ანუ სხვა ბეჭდვითი ორგანებში, და რომელთა შესახებაც მამა რედაქტორი „მწყემსისა“ ბრძანებს: აღმოვაბრწყინე დასავლეთით „ნათელი“ ჰემარიტებისა: განიბანენით ყოველი მწერალი სამღვდლოებაზედ (რასაკვირველია, აწინდელზედ) და ილტვოდეთ პირისაგან მისისა ყოველი მოლაპარაკენი მათზედ. ჩვენც რა ძალგვიძს—უნდა დავმორჩილნეთ: რათა ნათელმან „მწყემსისა“ მან განგვანათლოს ჩვენ. მხოლოდ ამისთანა დავალებულიება გვაგონებს ძრისტის იგავ-არაკს—„ბატები“, რომელთაც თავი მოჰქონდათ მით, რომ მათ წინაპართ რომის ქალაქი უბედურებისაგან დაიხსნეს... მაგრამ უკაცრავად, აქ საქმე ლოგიკაზედ არის დამოკიდებული, ლოგიკა თუ კი ასე ამბობს!.. ლოგიკურადვე გვიმტკიცებს მამა რედაქტორი იმ ფაქტების სიცრუეებს, რომელნიც იყენენ ჩართულნი ჩემს წერილში. მით რუსულ გაზეთში და მეორე „ობზორში“ ეწერა მღვდლებზედ სიცრუეც; „ობზორის“ რედაქტორმაც ბოდიში მოითხოვა და კო-

რესპონდენტც გაჰქრა ისე, როგორც ერთი ცხოველი გაჰქრება ხოლმე სინათლის გამოჩენის დროსაო. თუ ორ რუსულ გაზეთში სიცრუე იყო მოყვანილი მღვდლებზედ, „ღროებაშიაც“ (სხვა გაზეთებშიც) სიცრუე არის; მაშასადამე „ღროების“ რედაქტორმაც ბოდიში უნდა მოითხოვოს და კორესპონდენტც უნდა გაჰქრესო წინაშე დასავლეთით აღმოაბრწყინებული „სინათლისაო“. მს ლოგიკურად ასეა, და მეც რომ ლოგიკურად შემეხებინა იმ ფაქტებისათვის და სინამდვილისათვის მხარი ანუ ანუ შეიცვლებოდა ჩემგან მოხსენებული ფაქტები (ვიღებ მეორე ფაქტს: რადგანაც იმისთვის უფრო უზრუნველდება მიუქცევია მამა რედაქტორს; იმ ამბის გამოსვლად თვევი მოაქვს მით, რომ თბილისის სემინარიის კურსოვნიკია; ბლაღოჩინად ნამყოფი, დეკანოზის ჯვარი აქვს და ჩქარა კურთხევისაც მოელის და ამავე მღვდელს კარგად იცნობს პატივცემული ლ. ს. ს. დიმიტრი პ. შურცელაძე, რომელიც დამემოწმება, თუ „მწყემსის“ რედაქტორი კიდევ ურწმუნოებას გამოაცხადებს ნათქვამში) მღვდელი ძრისტესია ასათიანი (ვასახელებ „მწყემსის“ სურვილით) ეკუთვნის სამღვდლოთ წოდებას; იგი უნდა იყოს მოღვაწე მრევლის სასარგებლოდ, აღმზრდელი, კეთილ ზნობის და სარწმუნოების სწავლის გამავრცელებელი მრევლში; მაშასადამე ყოველი კრძალვით უნდა უყურებდეს მას და, თუ ითქვა რამე მათზედ წინააღმდეგი, სულ სიცრუეა. მს ლოგიკურად ასეა, მაგრამ სინამდვილეს რომ მხარი არ აუქციოთ, მაშინ კი ის ფაქტი, რომელზედაც მამა რედაქტორი ექვს აცხადებს, ნამდვილი და ჰემარტია. „ღროებაში“ მოყვანილი ამბავს სხენებულ მღვდლებზედ დავსძენთ. კიდევ შემდეგ: 7 წლის განმავლობაში მისი მრევლი აშენებდა ეკლესიას და წარსულ 1884 წ. ვათა და ვაგლახით დასარულა; მოუსაფლოებამ და ცეცხლით მიცემულმა ზარალმა დასცა ხალხი მატერიალურად და იმდენი შეძლება აღარა აქვთ, რომ კანკელი დადგან ეკლესიაში; სხენებულ მღვდელს პირობა მიუცია მრევლისათვის, რომ კანკელს იგი დასდგამდა თავისი ხარჯით, და ამის გამო მრევლმა მისკა ნება მღვდელს დაესაფლოებინა თვისი ღვა ეკლესიაში. მხლა მღვდელი უარს აცხადებს თავის დაპირებაზედ და მრევლიც ემუქრება მას მით, რომ დედის ძვლებს მალა ამოუყრის, თუ არ შესრულებს პირობას. თუ კიდევ ურწმუნოებას გამოაცხადებს მამა რედაქტორი, ვთხოვთ მოსთხოვოს შემოწმება სხენებული მღვდლის შეძლებაზედ და ცხოვრებაზედ პატივცემულს ლ. პ. შურცელაძეს. რაც შეეხება კოდის პურის მოკრებას გადამწერებიდან და ჩაფრის სიტყვებს, მოვიყვან მათზედ მოწმებად პოლიციის ბოქაულს ლ. რომბოვს და მეჯინის მცხოვრებელთ: ბიქო ბარულავს, საბა ბველიკოშვილს და ლევან ზა-

რაშვილს, რომლებთანაც წარმოუდგენ ჩაფრმა ტიტკომ (გერეუ-დამბასოვი); ლევანა ზაერაშვილი ეკუთვნის დამწერებს და ამ უკანასკნელს, რადგანაც პური არა ჰქონდა, თორმეტი აბაზის ბარათი ჩამოართვა მღვდელმა. მწყემსის რედაქტორი გვაძლევს ამ ნაირ კითხვას: „თუ სახლკარი გადაეწვათ, რომელ სახლში შევიდოდა ჩაფარი? მს დასკვნაც, რასაკვირველია, შემდეგი ლოგიკური მოსაზრებიდან გიმოჰყავს მამა რედაქტორს: ვისაც სახლკარი გადაეწვება, იმას აღარ ექნება სახლკარი: მეჯინელებს (გადამწერები) სახლკარი გადაეწვათ; მაშასადამე იმათ სახლი აღარ ექნებათ; ანუ როგორც ეს არის ლოგიკური მოსაზრება: ვისაც არაფერი დაუკარგავს, იმას ყოველიფერი ექნება: მწყემსის რედაქტორს რაქები არ დაუკარგავს, მაშასადამე რაქები აქვს. მს უკანასკნელი ლოგიკური დასკვნა უფრო ახლო არის სინამდვილესთან: რადგანაც რედაქტორს აქვს „მწყემსი“ და „Пастыр“; მაგრამ პირველი მოსაზრება კი ცოტა მოშორებულია სინამდვილესზედ. ზოგთ გადამწერთაგან სხვათა შემწეობით ქოხები გაიკეთეს, ზოგთ შეაფარეს თავი სხვათა ცარიელ ქოხებში—ასე რომ ლია ცას ქვემ არ იმყოფებიან. მამა რედაქტორი გვეციხავს მათზედ, რომ თუნდაც მართალი იყოს დროებაში მოყვანილი ფაქტები, არ შეიძლება ორი მღვდლისაგან მთელს სამღვდლოებაზედ დასკვნა გამოიყვანოს; თვით კი ბრძანებს, რომ, რადგანაც ორს რუსულ გაზეთში სიცრუე იყო მღვდლებზედ დაბეჭდილი, ყველა გაზეთები, და მათში „ღროებაც“, სიცრუესა ლაპარაკობნო. მაგრამ მისი დასკვნა ლოგიკურია, ფაქტიკურად კი ამას მოვახსენებთ: რასა ხედავ წველსა თვალსა შინა ძმისა შენისასა, და დვირესა თვალსა შინა შენსა არა განიცდი. (მათ.—7, 3) მამა რედაქტორს გამოუჩინებოდა თხუთმეტი თუმანდის გლეხის ხარჯი გარდაცვალებულზედ წლის განმავლობაში და განციფრებით გაიძახის: „თხუთმეტი თუმანი არ აღარბებეს კაცსა და სამი მანათი კი აღარბებესო! რა საუცხოვო მსჯელობაა!..“ ლოგიკურის მხრით მართლა რომ უგვანი მსჯელობაა, ფაქტიკურად კი სულ სხვა და ლოგიკა და ფაქტი ხომ ერთმანეთის მტრები არიან! ფაქტიკურად რომ შევხედოთ საქმეს, ასე გამოვა: ხორაგეულობა დასასაფლოებლად გლეხს ხშირად შინ მოეპოვება შემთხვევის დროს, ფული კი არა—„ღროებაშიაც“ ასე იყო ნათქვამი. მარდა ამისა სხვა ხარჯის გადადება და შემცირება სიკვდილის დროს დამოკიდებულია გარდაცვალებულის პატრონის სურვილზედ; მღვდლის ვასტუმრება კი არა, რომლის შემსუბუქება გარდაცვალებულის პატრონისათვის შეიძლება საზოგადოების დახმარებით. დასასრულ მადლობას განუცხადებთ



ბ. რედაქტორის მადლობისა და დარიგებისათვის და ესთროვით რომ „დროებისადმი“ მომართული დარიგება თერთმანე მიიღოს სახელმძღვანელოდ, და წინაღ თერთმანე გვიჩვენოს მადლობითი ზისი განხორციელებისა.

ნ—ბე.

აპრილის 2-ს.

ს. ვ—ნი.

### ტელეგრაფები

„რელიგიის სააგენტოსი“

აპრილის 18-ს

ოქმსა. აქ მოვიდა ამბავი, რომ დარდნულში სდგას ერთი ინგლისელი ჯავშნაზი ხომალდი.

სტოპოვნი. ხეობა, რომ შეეცაის საიარალო ქარხანას ინგლისში შეუკრთოს მოკლეს ვადისთვის მრავალი იარაღის მომზადება.

კოკინაზანი. ქვევითა პოლიცია, რომელიც შემოდგომისე უნდა შედგარიყო, საჩქაროდ შესდგა ესლა; შესდგა აგრეთვე ცხენოსანი ჯარის ნაწილი და რამდენიმე ასა მატროსების.

ხეობა, რომ ანალიზის მხლავლად კატეგორია (დანიას და შევივის შუა) შეამჩნიეს იხუთმეტი ბრატნიის საომარი კეზი.

შხადდება ერთი ბატარეა ჯავშნაზი ხომალდებისათვის, ამოუთქი გემი და ორი ბატარა გემი საჩქაროდ გასასვლელად ზღვასი.

სტაპოვლი. ჭავასის სააგენტო დაბეჯითებით ამბობს, რომ ორშაბათს შორტამ გადასწევითა დაიცვას სრული ნეიტრალიტეტი, თუ რუს-ინგლისის შუა ომი ასტყდა, და ამოუღოს ორთავე მოზარდაზირენი—არ უარ-ყვან სრუტეთა დახურვა. ჭეჭრობენ, რომ ეს გადაწყვეტილება შორტამ აცნობა ვადერ სახელმწიფოთათა.

### ცნობანი

სამპურნალში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სასხორად 4 აპრილისა 1866 წლისა, ვადმოუბნი მიიღებინ დილის 8 საათიდან 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ვად-მოუბებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანი—8 საათიდან 9 საათამდინ საბეობა, საქალბო და საბავშვო ვადმოუბების საწამლებად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე —სახიროვრო, სიფილისის ვადმოუბების წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ურის ტკივილის საწამლებად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრდელი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათით 9—10 საათამდე შინა-

გან ვადმოუბების წამლობისათვის; კორონა ორშაბათით, სამშაბათით, სუთშაბათით, და შაბათით შინაგან ვადმოუბათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათით და შარსკევიჩი 9—10 საათამდე სიროვგიული ვადმოუბებისათვის; ხამინსკი სამშაბათით და შაბათით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებად; კრასნოვლიადკო ორშაბათით და შარსკევიჩი 10—11 საათამდე შინაგან ვადმოუბათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის დარბ ვადმოუბებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბრათი ექმნებათ.

### რძინის ზნა

თბილისიდან ბათუმისკენ მიდის 8 საათზე და 31 წამ. დილით.

თბილისიდან მარტო ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზე და 45 წამზე დილით. (სამშაბათით და შაბათით საჩქარო 10 ს. 58 წ. დილით.)

ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათზე და 25 წამ. შუადღის უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზე და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდან და ბათუმიდან მოჩუვლი თბილისში შემოდის 10 საათზე და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდან მოჩუვალი თბილისში შემოდის 8 საათზე დილით.

ბაქოდამ მოჩუვალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათით და შარსკევიჩი საჩქარო 7 ს. 53 წ. დილით.)

### განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართულ წიგნის მაღაზიაში რუსულს ენაზედ **САБА ОРБЕЛИАНИ И ЕГО ГРУЗИНСКІЙ ЛЕКСИКОНЪ Критическій очеркъ Николая Гамрекели Цѣна 25 коп.** ამ დღებშივე გამოვა გასასყიდად ძველი პოემა „აღლუზიანი“

თხზ. თამარ მეფის ქმრის დავით სოსლანისა გამ. ნ. ზამრეკელისა ფასი ექვსი შაური. (3—3)

### თბილისის ძალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა აპრილის 25-ს, შუადღისა, მკვეთრად შენობაშივე იქნება ვაჭრობა მიწისა და ქვის სამუშეოსის მიჯნით ვაჭრობისათვის: ა) ურკენას მოკლანსკად ბაღის მოკვირისათვის; სამარკელის გაკეთება და ბ.) სამარკელის და ცოკოლის გაკეთება ვერისა და დესიმონკის მოკლანსკე (რიყსე). ვაჭრობის მსურველთ პირობანი ყოველ დღე შეუძლიანთ გაიგონ დილის 10-დამ ნაშუადღევის 2-საათამდე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. (3—2)

### ინგლისური მაღაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში № № 95, 94, 93, (92 სამუსიკო მაღაზია ლანკოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. რადგანა ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარ გარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამუშავებლებმა შეადარონ


ჩუქნი ჩაი	1 მან. — კან.	ჩაის	სსკვან 1 მან 20	დირეკუტის.
„ „	1 — 20 — „	„	„	1 — 50 —
„ „	1 — 40 — „	„	„	1 — 80 —
„ იმეიათი	1 — 60 — „	„	„	2 — 20 —
„ ჩინეთის ყვავილი	1 — 80 — „	„	„	2 — 50 —
„ ფუჩეფუ	2 — „ — „	„	„	2 — 80 —
„ ფენომენი	2 — 40 — „	„	„	3 — „ —

ტრაქტორები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიღნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდონ ასეთს სუნწელოვანს და მადარს ჩაის ზემო მოყვანილ ფასებად.

### ჩაის ფასი ყოველთვის უქაღაღდოდ იქნება

ძალაქს გარემე მცხოვრებისათვის, ვინც ნ-ს გირვ. ნაკლებს არ იყიდოს, გასაზნანს ფასს მაღაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ესენცია კაკაოსი, ბისკვიტები, თფშეულობა, კლიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრაოტები, და სხვ.; ყველ-ფერი პირკულ სელადგან—აი საიდუმლო ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის მრავალის ჩაის, კალმებს, ქაღალდს, კრაოტებს და სხვ. (100—14)

### ინგლისური რძინის კრაოტები



ერთის საწოლი 6 მანათიდგან, და ორის საწოლი 10 მანათიდგან; მათი ლეიბები, ზღვის ბაღასით გატენილი 4-დგან 8 მანათამდინ. კიდევ შემდეგ ნიეთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვადრე სსკვანს სადმე: ბრატნიის მუტალის ნიეთები, ჩაიდნები, სავარაქე, საშეჭე, კოვსები, შეთიდლის დასება ჩანგლებით, სამარბელები, დასადმეული პირის საბანი, სტაქები, სუფოქნიკი, საწოლა, რიუმეკები, საქაშური, თფშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, საშკეკები, სამარბელები, გარჩინის საფუკეები, ჰობბის ამოსადები, პობბეები, კლიტეები, გასადმეები, კრანტები, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასადმელები, საბაღო მაკრატლები, ვაქსები, უთაბები, წისქვილები, სერსები, ქაიბები, ინგლისის თოფები და რეკლავრები, პიჟები, წარბადები, კან-

სიულეები, სავანგები, ნიხბები, ვატურ-პრუფი, სანბები, ხულები, წინდები, სუფრები, სადფეტეები, რგოლები, ემალისა ჭურჭელი, მურაბები, ვაშეკეები, კაშულეები, სოუსები, ზღვის ბაღასი, დიმიკიტონები, პომპეი და სსკ. ინგლისურს მაღაზიებში არწრუნისეულს ქარვასლაში № № 95, 94, 93, 91, და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში. (100—17)

ყოველ მოკვლა  
ს. სიუ და პო.  
(II. 2592).  
(46—10)

ქუთაისში, ივანე ნიკოლაის მემკვიდრეთა მაზინაში ისყიდება ყოველ გვარი საქონელი, სხვებთან შედარებით იაფად. მაღაზია იმყოფება ბულვარის პირდაპირ საკუთარ შენობაში. (14—9)